საქართველოს მთავრობის

დადგენილება №384

2018 წლის 27 ივლისი

ქ. თბილისი

„იმ დასახლებათა განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №351 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ დასახლებათა განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც ხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №351 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/07/2016, 370040000.10.003.019416) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ დასახლებებში, საპილოტო პროექტის ფარგლებში, სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყების დროს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. საპილოტო პროექტის ფარგლებში, უფლებათა რეგისტრაცია წარმოებს 2019 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**